ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი

დეპუტატის ზაზა ყურაშვილის ანგარიში

2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

უპირველესად წლევანდელ წელს დავესწარი საკრებულოს ყველა სხდომას და აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა საკითხის განხილვაში. რა თქმა უნდა პრობლემებს რა გამოლევს და ოქმის სახით ვაფიქსირებდი ყველა იმ პრობლემას, რომელიც მოჰქონდა ქალაქის მოსახლეობას, ბევრი პრობლემის გადაჭრა მოხერხდა, ზოგიც რჩება გადაუჭრელი და შევეცდებით ნელ-ნელა დავძლიოთ. მქონდა შეხვედრები ამომრჩევლებთან, იყო ინდივიდუალური თხოვნებიც. დარჩენილი იყო ქუჩის ჩიხების ასფალტირება, რომელიც მოგვარებულია და შეიძლება ითქვას, რომ ასფალტირება ქალაქში დამთავრებულია. იყო მოთხოვნები სკვერებთან დაკავშირებით და ჩემი აქტიური ჩარევით გაკეთდა ორი ლამაზი სკვერი აღმაშენებლის ქუჩაზე. ასევე გაკეთდა ორი კარგი სტადიონი, ეს იყო ახალგაზრდობის სურვილი, რომელიც შეუსრულდათ. დავაყენე საკითხი ფაროსანებთან დაკავშირებით და მოხერხდა რამდენჯერმე შეწამვლა. დავეხმარეთ მარტოხელა ადამიანს, რომელსაც სახლი ჰქონდა დაზიანებული. ასევე დავაყენე საკითხები ჯანდაცვის მუშაკთა დაგვიანებულ ხელფასებთან და კულტურის სახლის შენობის ავარიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ქალაქში არსებული გზის ცხაურების შესახებ და სხვა.

როგორც დასაწყისში ავღნიშნე, პრობლემები ბევრია, ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოხერხდა, მაგრამ წინ ბევრი გამოწვევაა და შევეცდებით ღირსეულად გავუმკლავდეთ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მაჟორიტარი დეპუტატი: / ზ. ყურაშვილი /